თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის ქვემიმართულების ინიციატივით (მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი, ბ.მ.დ. ნ. დორეული) 31 მაისი - 2 ივნისს გაიმართება კონფერენცია თემაზე "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქართული ფიზიოლოგიური სკოლა". კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ:

1. ფაკულტეტის თანამშრომლები, რომელთა მიერ წარმოდგენილი იქნება წლების მანძილზე აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ამსახველი მასალა;
2. სტუდენტები, რომლებიც თანამედროვე ნეირობიოლოგიურ საკითხებს მიმოიხილავენ;
3. კონფერენციის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა მოსწავლე-ახალგაზრდობას.

კონფერენციის მიზანია ღვაწლმოსილი ქართველი ფიზიოლოგების სამეცნიერო/საგანმანათლებლო მოღვაწეობის დაფასება, თანამედროვე ნეირობიოლოგიური კვლევების წარმოჩენა და მოსწავლე-ახალგაზრდობაში ნეირობიოლოგიური და ზოგადად, ბიოლოგიური დისციპლინების პოპულარიზაცია.

მოსწავლე-ახალგაზრდები მიიღებენ აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელ სიგელებს.

მისამართი: თსუ XI კორპუსი